13/05/2026

მსოფლიო პატრიარქი შიო მესამეს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებას ულოცავს – ვლოცულობთ, გქონდეთ ნაყოფიერი წინამძღვრობა ერთგული სამწყსოს სასიკეთოდ, ქართველი ერის მშვიდობისთვის

მსოფლიო პატრიარქი შიო მესამეს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებას ულოცავს – ვლოცულობთ, გქონდეთ ნაყოფიერი წინამძღვრობა ერთგული სამწყსოს სასიკეთოდ, ქართველი ერის მშვიდობისთვის
10:50, 13.05.2026
მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი შიო მესამეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას და აღსაყდრებას ულოცავს.

როგორც მსოფლიო საპატრიარქოს მისალოც წერილშია აღნიშნული, მსოფლიო პატრიარქმა შიო მესამეს გულთბილი მილოცვა გაუგზავნა, ხანგრძლივი, კურთხეული და ნაყოფიერი მსახურება უსურვა.

„დიდი სიხარულით მივიღეთ სასიხარულო ამბავი თქვენი ღირსეული არჩევის შესახებ

კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის შემდგომ, რომელმაც ნათელი და ისტორიული მსახურება გაუწია საქართველოს ღირსეულ ეკლესიასა და სრულიად მართლმადიდებლობას. ძმური სიყვარულით გილოცავთ, ვლოცულობთ, გქონდეთ ხანგრძლივი, კურთხეული და ნაყოფიერი წინამძღვრობა ღვთის სადიდებლად, თქვენი ერთგული სამწყსოს სასიკეთოდ, ქართველი ერის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის, ასევე, ჩვენთან და ეკლესიების სხვა წინამძღვრებთან ჰარმონიული თანამშრომლობით, მართლმადიდებლური ერთობის, თანამშრომლობისა და სამყაროს წინაშე ერთობლივი ხმის განმტკიცებისთვის“, – აღნიშნულია წერილში, რომელიც მსოფლიო პატრიარქმა, ბართლომეოსმა შიო მესამეს გაუგზავნა.

ავტორი – მარიამ ახალაია

1tv.ge